27

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 150
ივლისის 17, ოთხშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 150
ივლისის 17, ოთხშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

იოსებ ბეჟანის ძე ბარბაქაძე, მეუღლე მისი ოლღა და შვილები: ელისო, ნინო და ვახუშტი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასის შვილისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელის ძმის, ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტის

შალვასას.

მიცვალებულს გაასვენებენ 18 ივლისს დილით, სადგურ წიფიდგან ყვირილაში, სოფ. საქარაში დასაკრძალავად. (1—386—1)

1176

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ' უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვევო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და მდინარით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—ნ.—3)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა

ნიკოლოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე კვირა დღეობით, მარტო დილით 9—12, საათამდე.
საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—8)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

გიორგი წერეთლის
დიდი სურათი

იყიდება ტფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში—ლალიძესთან. ფასი 20 კაპეიკ. (6—ნ.—3)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა. № 12

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

ფინანსთა მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი საქარხნო ინსპექციის მოხელეთა საყურადღებოდ. ამ ცირკულიარში აი, სხვათა შორის, რა არის ნათქვამი: ყოველ სამრეწველო საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ საქმის შემსრულებელთ—მუშებს. მრეწველობის მდგომარეობა და მეტოქობის უნარი მსოფლიო ბაზარში დამოკიდებულია იმაზედ, რამდენად განვითარებულია გონებით მუშა ხალხი და რა სატეხნიკო ცოდნითაა იგი აღჭურვილი. გონებით მუშის ამაღლება მეტად საჭირო, მაგრამ ამასთან ძნელი საქმეა. სიძნელე წარმოსდგება უბრალო მუშათა მრავალ რიცხვოვანებისაგან. უმაღლეს და საშუალო სატეხნიკო განათლებისათვის ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა, მუშათა სწავლების საქმე-კი ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ. ეჭვს გარეშეა, რომ სამრეწველო-სახელოსნო სკოლები შესძლებენ დიდ სარგებლობის მოტანას, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ამ გზით სატეხნიკო ცოდნის გავრცელება მუშათა შორის მეტად ძვირად ჯდება, ამასთან ასეთ სკოლების ნაყოფი მხოლოდ შორეულ მომავალს ეკუთვნის.

ადგილობრივ მრეწველობის განსავითარებლად ფინანსთა სამინისტრო 1882 წლიდგან დაწყებული, ასე თუ ისე, სცდილობდა მუშათა გონებით ამაღლებას. თავის მხრივ ქარხნისა და ფაბრიკის პატრონებმაც ცოტა არ გააკეთეს მუშათა და იმათ შვილთა განათლებისათვის. როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ქარხნებსა და ფაბრიკებთან არსებულ 446 სკოლაში სწავლობს 47 ათასი ბავშვი. ამ სკოლებზედ ქარხნები და ფაბრიკები ჰხარჯავენ ერთ მილიონ მანეთამდე. თუმცა იმ კანონში, რომელიც მცირე-წლოვან ბავშვთა სწავლა-განათლების საქმეს შეეხება, სპეციალური განათლება წინ დახედულია, მაგრამ დღემდე ამ საქმისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა.

რადგანაც, სამინისტროს აზრით, საქარხნო და სახელოსნო მრეწველობის ერთი შემაფერხებელი მიზეზი ის არის, რომ სატეხნიკო საქმის გამოცდილი და მცოდნე მუშები არ მოიპოვებიან, ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო ყოველი ღონე იხმაროს მუშათა პრაქტიკულად და ტეხნიკურად განვითარებისათვის. სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი დებულებისა სატეხნიკო-სახელოსნო კურსებისა და სახელოსნოების შესახებ. ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოში განხილვის შემდეგ ედირსა უმაღლესად მოწონებას. მთავარი საფუძველი ახალ კანონ-დებულებისა წარმოების სხვა-და-სხვა დარგში მუშათა პრაქტიკულად მომზადებაა და კავშირის დამყარება ამ დარგებისა საქარხნო-სამრეწველო მოქმედებასთან. ამასთან ფაბრიკებმა და ქარხნებმა სახელოსნოების მაგიერობა უნდა გასწიონ. ადვილად შეიძლება იქ პრაქტიკულად სწავლება სხვა-და-სხვა წარმოებისა; არც ახალი ხარჯი იქნება საჭირო განსაკუთრებულ სასწავლო სახელოსნოების გასამართავად. ამასთან ქარხნებმა და ფაბრიკებმა უნდა ისარგებლონ როგორც სატეხნიკო პრაქტიკულ სკოლებით, ისე ქარხნებსა და ფაბრიკებში მყოფ ტეხნიკოსებით, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ სატეხნიკო საგნების სწავლება ქარხნებსა და ფაბრიკებში. სატეხნიკო სკოლების მოწყობას სხვაფრივაც ექმნება მნიშვნელობა იგი ხელს შეუწყობს კეთილ კავშირის დამყარებას მოსწავლე მუშასა და ქარხანასა და იმის პატრონს შორის.

სასწავლო სახელოსნოების რიგზე მოწყობა და წაყვანა, აგრეთვე იმის მოქმედების ხელმძღვანელობა შეუძლიანთ ისეთ კაცებს, რომელნიც დაახლოვებით იცნობენ საქარხნო ცხოვრებას, მუშაობის პირობებს და იმ კანონებსა და მთავრობის განკარგულებებს, რომელნიც ქარხანასა, მუშებსა და მუშაობას შეეხება. ასეთები არიან მხოლოდ საქარხნო ინსპექციის მოხელენი, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ და რომელნიც ახლო სდგანან სამრეწველო საქმესთან. სწორედ ამის გამო უმაღლესად დამტკიცებული დებულება უკავშირებს სატეხნიკო სახელოსნოებსა და კურსებს საქარხნო ინსპექციას; ავალებს მას თვალ-ყური ადევნოს ამ სახელოსნოებისა და კურსების მოქმედებას და იქ სწავლის საქმის დაყენებას.

დასასრულ, ბ-ნი მინისტრი სთხოვს საქარხნო ინსპექციის მოხელეებს ყოველის საშუალებით ხელი შეუწყონ აღნიშნულ სახელოსნოებისა და კურსების დაარსებას, ეცადნენ აგრეთვე ქარხნებისა და ფაბრიკების ადმინისტრაციასთან ერთად სასწავლო გეგმის შემუშავებას.

ტფილისი, 17 ივლისს.

ჩვენი დასი მდაბიო ხალხისათვის ზრუნავსო, მათი დასი—ბურჟუაზიისათვისო და თქვენი-კი—კლერიკალებისა და, საზოგადოდ, „წმინდა“ სისხლიანებისათვისო, ხშირად გვესმის ასრეთი მსჯელობა ოჯახებშიაც და კრებებზედაც.

წინადაც არა ერთხელ გვითქვამს, რომ არავითარს დასს არ ვეკუთვნით, არავითარს დასს არ შევადგენთ, ჩვენ, პირ-იქით, ვგმობთ ყოველგვარ დასობანას.

ჩვენ კარგად ვიცით რომ-ჯერ სტრაბონის დროსვე საქართველო ხუთ წოდებად ანუ დასად დაყოფილი იყო. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, ერთ წოდებად ანუ ერთ სამწყსოდ ყოფილიყო, ვინაიდგან ერთობა ძლიერებაა, დაყოფა ანუ დასობა—სისუსტე... ვიმეორებ, დასობანას თამაშმა ერთხელ წელი მოგვწყვიტა და დღესაც ჯერ ვერ აღვმართულვართ და რაღად დავადგებით იმავე დამღუპველს გზას. არა, ჩვენ ყველანი ვემსახურებით საქართველოს და მით კაცობრიობასაც, ვინაიდგან საქართველოს წარმატება იმავე დროს წარმატებაა თვით კაცობრიობის ერთის მოდგმისა, ერთის ნაწილისა. ჩვენ არ ვემსახურებით არც კეთილშობილს, არც სასულიეროს, არც მოქალაქეს, არც სოფლელს, არამედ მხოლოდ ქართველს; ჩვენ არ ვადიდებთ არც ერთს წოდებას, არამედ მხოლოდ კარგს, ჰაეროვანს ქართველს; ჩვენს დროშას აწერია მხოლოდ ღვთიური სიტყვები გენიოს ქართველისა, რომელიც მრავალ გამოჩენილ ფილოსოფოსთა უწინარეს მიხვდა, რა საზარელი შედეგი მოსდევს დასობანას, წოდებად დაყოფას. იმ გენიოსმა-კი ეს ბრწყინვალე იგავი მოგვცა:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა“.

ყველა კაცი გონიერი არსებაა, ყველას ერთნაირი სისხლი სდის, ყველას შეუძლიან მიაღწიოს უმაღლეს განათლებამდე, ყველას ძალუძს დაგვანახვოს თვისი შარავანდედი, ქველობით აღსავსე სწრაფვა.

ქართველობა, ვითარცა მთელი კაცობრიობაც, თუმცა წოდება-დასებად დაყოფილი იყო, გარნა თაყვანსა სცემდა მხოლოდ ნიჭს, ნიჭი-კი იბადებოდა და იბადება ქოხშიაც და ბრწყინვალე სასახლეშიაც. ქართველთა კლასიკურ დროის გენიოსი მწერლები, მგოსნები და მთარგმნელები უწინარეს ყოვლისა იყვნენ „ვინმე მესხები“, ვინმე „მოსე ხონელები“, ვინმე „ჩახრუხაძენი“, ვინმე „მცირეები“, „ოლთისრები“ და არა თავადები, აზნაურები ანუ მთავრები. გლეხს თევდორე-მღვდელსაც, მდაბიო თურმანიძესაც და დიმიტრი თავ-დადებულსაც ერთი აზრი უელვებდა თავში და ერთი სისხლი უფეთქავდა გულში—მამულის, ენის, სარწმუნოების დაცვა. მხოლოდ კლასიკურ ხანას შემდეგ გამოჩნდნენ თავმოყვარე კაცნი, მხოლოდ მის შემდეგ სხვა-და-სხ. „ვინმეები“, „მცირეები“ გამოვიდნენ მთავრის, თავადის, დიდ-მოურავის დროშებით.

დიაღ, ჩვენ ვმსახურებთ მხოლოდ ქართველს და არა რომელსამე წოდებას. წოდება ჩვენ მიგვაჩნია მხოლოდ ისტორიულ ფაქტად და მტკიცედ გვწამს დრო-ჟამის მსვლელობა მას მოსპობს, ამოაგდებს...

ჩვენ არას დროს არ ვივიწყებთ ჩვენის ერის მიერ შექმნილს მოწოდებას კაცისას. ერის ტკბილს ლილინს მასთან ერთად ჩვენც ვიმეორებთ მარადის:

„რა კარგია კაი კაცი,
კარგს საქმეზედ აგებული,
ქვეყანა ჰყავს მადლიერი,
სწორის გული მოგებული“.

პატივს ვსცემთ მხოლოდ კარგს კაცს, სიქველითა და სათნოებით'აღსავსეს, გამრჯელს, მყუდროდ მშრომელს, პატიოსანს, ჰაეროვანს და არა მყვირალას, ერში შურისა და ღვარძლის მთესველს, გველაძუას, უმაქნისს.

ჩვენ არ ვდევნით არც მოხუცს, არც ვაჟკაცს, არც ჭაბუკს, თუ ერთიცა და მეორეც პატიოსნად და ჯერ-ჩინებით ემსახურება თავისს თავსაც და მსოფლიოს ნაწილს—საქართველოსაც.

ტფილისი

✦ გუშინ-წინ ჩამოვიდნენ ტფილისში ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ლორთქიფანიძე და იქაურ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. თუმანიშვილი, რომელთაც დავალებული აქვთ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ მეორე ლიანდაგი რკინის გზისა ქუთაისს არ ასცდეს, არამედ პირდაპირ ზედ გაიაროს.

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ უკვე საბოლოოდ გადასწყდა, წელს სახაზინო თეატრში დირექციამ საოპერო დასი არ იყოლიოს. შარშან დირექციას დიდი ზარალი მოუვიდა, თითქმის 65 ათას მანეთამდე და წელს იმდენი ფული აღარ არის კვლავ დეფიციტი გაისტუმრონ, ვინიცობაა ზარალი იყოსო.

✦ ჩვენ მივიღეთ ძველი აღთქმის საღმრთო წიგნთაგან ბრიტანიის საზოგადოების მიერ დაბეჭდილი ხუთი წიგნი წინასწარმეტყველის მოსესი: შექმნათა, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულისა. წიგნი კორპუსით არის დაბეჭდილი სუფთად და ლამაზად სასინოდო კანტორის ნება-რთვით და ღირს ათი შაური.

✦ ცხინვალიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ 15 ივლისს გაჩენილმა ცეცხლმა დიდი უბედურება დააწია ცხინვალელებსაო. თითქმის 120 კომლი გადამწვარა. ამბობენ, რომ ცეცხლს რამდენიმე ადამიანიც უმსხვერპლია. დაზარალებულია უფრო ურიების უბანი. გადამწვარა აგრეთვე დუქნები, მაღაზიები, სავაჭრო საქონელი და ყოველივე მათი სარჩო-საბადებელი. ზარალი მეტად დიდია. გუშინვე გუბერნატორი წაბრძანებულა ცხინვალს და გაუწვევია გორიდგან ჯარი ცეცხლის ჩასაქრობად, რადგან მთელს ცხინვალში ერთი ცეცხლის საქრობი არ არის. სწორედ დიდი უბედურობაა, რომ ამოდენა დაბას ერთი ცეცხლის საქრობი მანქანა არა ჰქონდეს. აუცილებლად საჭიროა დახმარება მთავრობისა და საზოგადოებისაო. დაზარალებულთა შორის უმრავლესობა ღარიბი ხალხია.

გუშინ-დილით გუბერნატორისაგან მიიღო დეპეშა ვიცე-გუბერნატორმა, ნახევარ ცხინვალი გადიბუგაო, დაუყოვნებლივ გამოეშურეთ და შესაფერი ღონის-ძიება მიიღეთო. ვიცე-გუბერნატორი გუშინვე გაეშურა ცხინვალს და თან წაიყვანა როტმისტრი ლუცენკო (ობერ-აფიცერი და განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე).

✦ ტფილისის ობსერვატორიას ამ დღეებში მიუმართნია ქალაქის გამგეობისთვის შემდეგის ქაღალდით: აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ობსერვატორია სთხოვს გამგეობას მიიღოს რაიმე ღონისძიება, რომ აღმოსავლეთის კედელთან იუნკერთა სასწავლებლის მხრივ, მურავის აძლევენ ნაგვისა და უწმინდურობის დაყრის ნებას, რადგანაც ამ უწმინდურობით წყალი გუბდება და კედელი ფუჭდებაო. ამ ჩვენ მოწერილობას გამგეობამ არამც ყური უგდო, არამედ არც-კი შეგვატყობინა, შემდეგში მაინც რას იღონებსო. ამიტომ ობსერვატორია ხელმეორედ ატყობინებს და სთხოვს გამგეობას აიღებინონ ყველა აქ ჩაყრილი უწმინდურება და წყალსაც სხვა არხი გაუჭრან. უკეთუ გამგეობა ამ მოკლე ხანში ჩვენს თხოვნას არ აასრულებს, მაშინ ობსერვატორია იძულებული იქნება სხვა ღონეს მიჰმართოს და მით დაიცვას სახელმწიფო ადგილი გაოხრებისა და გატიალებისაგან.

✦ ტფილისის გუბერნატორი, როგორც ამას წინადაც გვქონდა მოკლედ მოხსენებული, სთხოვს ქალაქის გამგეობას, შესდგეს კომისია ინჟ. ტრონოვისაგან, ანტონოვისაგან, ვასილიევისაგან, გამგეობის წევრის ენფიაჯიანცისაგან და ქალაქის ერთ-ერთის ტეხნიკოსისაგან, რომელთაც დაათვალიერონ მტკვარში გაყვანილ უსუფთაობის არხების მილები აგრეთვე მოისაზრონ, რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მილები მთლად წყალში დაიმალოს და მათის სუნით ჰაერი აღარ ფუჭდებოდესო.

✦ ახალციხის ქალაქის თავი სთხოვს ტფილისის გამგეობას, რათა მან გაუგზავნოს კოპიო იმ ხელშეკრულობისა, რომელიც დაიწერა ტეხნიკოსსა და გამგეობას შორის ტფილისის გეგმის შედგენის თაობაზედ.

✦ როგორც შევიტყვეთ, ამ რამდენისამე დღის წინად რკინის გზის ვოგზალზედ გაუქურდნიათ ალიკენტის სადგურის უფროსი გიორგი კობიაშვილი, რომლისთვისაც მოუპარნიათ ოქროს საათი, ღირებული 65 მ. და 55 მანეთი ფულად. გიორგი კობიაშვილს უკვე აღმოუჩენია ქურდები, ეფიმი ბელკინი და ბართლომე კრავჩენკო, რომელთაც აღმოსჩენიათ ნაპარევი ნივთი, მაგრამ პოლიციის დაუდევრობით, როგორც ამბობს კობიაშვილი, ეს ვაჟბატონები დღესაც დაუსჯელად დათარეშობენ. ახლა იმედ-გადაწყვეტილ გიორგი კობიაშვილს მიუმართნია ტფილისის პოლიცმეისტრისათვის და სთხოვს უბრძანოს მე-10 ნაწილის ბოქაულს, რომ ჩამოართვას მათ ნივთები და დამნაშავენი პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი.

✦ გზათა მინისტრის ნება-რთვით კავკასიის საგზაო ოლქის მმართველობასთან დაარსდეს ცალკე კომისია, რომელმაც უნდა ეგზამენი დაუჭიროს ყველას, ვისაც სურს მიიღოს წოდება გზათა ტეხნიკოსისა. ეგზამენები დაიწყება 10 სექტემბრიდგან. გამგეობა საგზაო ოლქისა ტფილისში, იმყოფება სერგეევის ქუჩაზედ, სახლი ჩითახოვისა.

✦ კაპიტანი პოლზიკოვი, როგორც ატყობინებენ გაზ. „კავკაზს“, დაინიშნა სენაკის სამაზრო სამხედრო უფროსად (ვოინსკი ნაჩალნიკად).

✦ განზრახულია, ორ სამრეველო სკოლასთან დაარსდეს სამეურნეო განყოფილებანი—ტირძნისის სკოლასთანა და გომის სკოლასთან. გომის სკოლას ამ აზრით 7 დესეტ. მამული შესწირა ბ-ნმა გვერდწითელმა. თითოეულს სკოლას მიეცემა სამეურნეო განყოფილების შესანახად წელიწადში 500 მან.

✦ ახალციხის ქალაქის თავი სთხოვს ტფილისის გამგეობას ქალაქში ხორცის დუქნების გახსნის დადგენილების კოპიოს.

✦ გუშინდელ დღიდგან დაიწყეს ვაჭრობა ახლად გახსნილ ქალაქის ხორცის დუქანში ნიკოლოოზის მოედანზედ; ხორცი ისყიდება სხვა-და-სხვა ნაირად მომზადებულიც (დაკეპილი, მწვადებად გაკეთებული და სხ.).

✦ როგორც ქალაქის სამკურნალო უწყებებიდგან სჩანს, ქალაქში 8 ამ თვიდამ 15-მდე გადამდებ სენით ავათ გამხდარან: 1—წითელი ქარით, 1—წითელათი და 1—ხუნაგით.

✦ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, როგორც ქალაქის სამკურნალო უწყებებიდგან სჩანს, 15 ამ თვეს 50 სულით ავადმყოფი ყოფილა.

✦ ქალაქის საავადმყოფოს ქალთა განყოფილებას 8-დგან 15-ივლისამდე მიემატებია 5 ავადმყოფი; გამოწერილა—2; 15-სათვის დარჩენილა 34 ავადმყოფი. თავისუფალი ადგილი კიდევ 21-ა.

✦ მიხეილის პროსპექტიდგან ვერისაკენ შესახვევ კონკას წამ-და-უწუმ ემართება ხიფათი. სწორედ მადერისეულ რესტორანის წინ ხანდახან დღეში ორჯელ-სამჯერ გვინახავს გადაბრუნებული და რელსებ-გადაცილებული. ხალხი თავ-პირის მტვრევით გადმოხტარა გულ-დახეთქილი. ცხენებს ნუღარ იტყვით, რა გასაჭირში ჩაცვივიან ხოლმე, სანამ ვაი-უბედურებით ვაგონს ლიანდაგზედ შეაყენებდნენ.

— ამაზედ უარესი ბედი ცხენებს ემართებათ ამავე ადგილას გამოყვანილ რუზედ დაწყობილ რკინისა თუ თუჯის ხიდზედ ანუ ფიცრებზედ. ისე ეტლი არ გაივლის, რომ ცხენს ორივე ფეხები არ მოუსხლტეს და ცხვირი მიწას არ წაჰკრას. თუ ბედაური ცხენი არ არის, კიტრივით გაგორდება ხოლმე და ამის აყენებაზედ ერთი ვაი-უშველებელია. დავიჯეროთ ერთხელ არავინ შეჰნიშნა ეს პირუტყვთა ტანჯვა-საცოდაობა, რომ აცდინოს მოსალოდნელი ხიფათი ერთხელ და სამუდამოდ როგორც პირუტყვთ, ისე პირ-მეტყველთ, რომლებიც გულ-გახეთქილები ძლივს მოსულიერდებიან ხოლმე.

— არც ნაკლებს წვა და დაგვში გახლავან ჩვენს დალოცვილ ქალაქში მოსამსახურე ბიჭები თავიანთ ხაზეინებისაგან. სხიდოს არ შეუძლია იმოდენა ჯაფის ატანა, რასაც ესენი იტანენ: მთელი ოც-და-ოთხი საათი დილიდან პატარამდის ღვთის როსხვა ჯაფაში არიან. საყინულიდგან ყინულის, ზისაც ზურგით, ზიდვით წელები აქვთ დაწყვეტილები. ამ დღეებში ერთი 18—19 წლის ბიჭი მეტის ყინულის ზიდვისაგან წელში დაშავდა და სთხოვა ხაზეინს დუქანში მამუშავე და ამაცილე ამ ჯაფას, რადგან დავსნეულდიო. ხაზეინმა უცოდ უცხედებლად გამოუწყო, თუ ერგებოდა რამე, და თვალ-ცრემლიანი დასავადებული ბიჭი სახლში გაისტუმრა: ჩვენ ბალნიცა არა გვაქვს, ავადმყოფები შევინახოთო. აი სად არის საჭირო ადამიანთა გულშემატკივრობა. არ ეჩხვება სცოდავს, ის ჯანი და ღონე, რაც ამ უბედმიანო ადამიანთან დაჰკარგა, ხახლისთვის მოუხმარებინა?! დროა პირუტყვთათვის საზოგადოებასთან პირმეტყველთათვისაც საზოგადოება დაწესდეს, რომ ეგებ ბოლო მოეღოს ასეთ უღვთო მუშაობას. კვირა-უქმე უარესია ამ საცოდავებისათვის: მიხურულ დუქანში მუშაობენ, ხან ბნელაში და ხან დაშპარზედ. რაკი არ იშლიან, დღის სინათლეს მაინც ნუ ანატრულებენ?! სანოვაგეს ხომ პირდაპირ ჰხედავ, მატლები ახვევია და, ხმა რომ გასცე, ხნუბათ გადაგიქცევენ. აგრეა ჩემი ნება, თუ გინდა წაიღეთ, თუ არა, მიბძანდითო! თავ-გასულობაც ამასა ჰქვიან!

ჩვენებური ამბები

ქუთაისი: ინჟენერმა მიხაილოვმა და კამპანიამ უკვე შეისყიდა არქიელის გორაზედ საჭირო მამული მარჯანიშვილისა 460 ოთხ-კუთხი საჟენი 2315 მან. ამ ადგილას უნდა გაიმართოს დიდი აუზი, რომელიც უნდა იტევდეს 100,000 ვედრო წყალს. მასალა აუზის გასაკეთებლად უკვე მზად არის, თუ ცემენტი, თუ ხის მასალა და სხვ. მუშაობაც უკვე დაწყებულია.

—

სოხუმი. 12 ივლისს, საღამოს შვიდ საათზედ, სოხუმში გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ყოფილი მზრუნველი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი. ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ განსვენებულმა, როგორც შევიტყვეთ, ანდერძად დასტოვა, რომ მისის ხარჯით სოხუმში დაარსებულ იქმნას სახელოსნო სკოლა.

კ. პ. ასაფლავებენ სოხუმის საკათედრო საკრებულოს გალავანში.

—

ქუთაისი. აქ ხმა დადის, ვითომ სათავადაზნაურო ბანკის მმართველს ბ-ნ მელნიკოვს, სადაც ჯერ არს, აზრი შეეტანოს, რომ ბანკში მეორე დირექტორად ისევ ნესტორ ერისთავი დაამტკიცონ ვასილ აბულაძის მაგივრად. მასვე თავისის უფლებით დაუნიშნავს ბანკის მამულების უფროს მმართველად თ-დი გიგო წულუკიძე. დამფასებლების ამორჩევა ენკენისთვისათვის არის გადადებული.

—

ქუთაისი (ქალაქის საქმეები: ქუჩები, არქიელის გორა). ამ თვის ცამეტია. ბნელი ღამეა. საათის ათის ნახევარია და მესმის გაბრიელის ქუჩაზე მორიხინე ეტლის ხმა. მოაღწია თუ არა ეტლმა ამ ქუჩის პირველ მოსახვევს, ჩემ ბინასთან, ცხენები გაჩერდნენ, მეეტლემ ძალზე ცემა დაუწყო, მაგრამ საცოდავნი ორ-სამ საჟენს იქით არ იძვრიან: წინ და უკან ფხაკურით გაშმაგებულნი ტრიალებენ. ამასობაში ორი შიგ მჯდომი მანდილოსანი, შეშინებულნი რომ ღრე-წყვარამში არ გადვიხვეწოთო, თუმცა არ წვიმდა, დახურულ ეტლიდგან გადმოხტნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათზე უფრო გაგულმგრებულმა „კავალერმაც“ იკადრა გადმოსკუპება და მოხმამაღლოთ მეეტლეს შესძახა: „что ты, съ ума сошелъ что-ли“-ო! მეეტლემ ამ გაჯახირებულ მდგომარეობაში მთელი 5—8 წუთი ატრიალა აქეთ-იქით ეტლი, მაგრამ გორაზე ასვლა ვერ შესძლო. მერე შეშინებულმა, რომ პოლიციაში თავი არ „მატუცვინონო“ და, „конецъ“-ის მაგიერად ხუთი იმდენი ზედ არ წამადებინონო, მოაბრუნა ეტლი, უცხუნა მაგრად ცხენებს (რომელნიც ქუჩის უვარგისობის გამო ვერ მიდიოდნენ ზევით) და ხმა ამოუღებლივ მოჰკურცხლა ქალაქისაკენ. შიგ მჯდომი შუა გზაზე დარჩენილნი ბანოვანნი და მათი კავალერი-კი გაკვირვებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „неужели онъ уѣхалъ“-ო, და მართლაც ამ „уѣхалъ“-ობით მან თავს უშველა: იგი ასცდა ჯარიმას, რომელიც დადებულია იმ შემთხვევისათვის, თუ მეეტლე არქიელის გორაზე ეტლს ვერ აიყვანს. „პასაჟირებს“ ღამეში მეეტლის №-იც არ შეუნიშნავთ და შემდეგ რამდენსამე წუთს იქ ლაპარაკისა სტუმრად მიმავალნი გაისარჯნენ და ქვეითად შეუდგნენ მგზავრობას გორაზე.

ასე ვრცლად გიამბეთ ეს ამბავი იმიტომ, რომ გვინდა აღვნიშნოთ **ქუთაისის ქუჩების შესახებ უზრუნველობა, მათი სრულიად უყურადღებოდ დატოვება...**

არქიელის გორა ერთი საუკეთესო, არა მარტო საცხოვრებელი, არამედ მთელის ქალაქისათვის თითით საჩვენებელი ალაგია ქუთაისში. გასეირნებას მოინდომებს შრომით დაღალულ-დაწყვეტილი, ფერმას ან არქიელის გორას უნდა მიაშუროს. მოვა ვინმე უცხოელი ქალაქის მდებარეობის დასათვალიერებლად, ან მეცნიერულის აზრით, მაშინვე იმას იკითხავს: Какія у васъ достопримѣчательности въ городѣ, чтобы стоило осмотрѣть“-ო და მაშინვე ყველა არქიელის გორაზედ და მის ძველ ნანგრევებზედ მიუთითებს. აქ, გარდა ამისა, ერთი სასულიერო სასწავლებელიც არის, სადაც 300—400 ყმაწვილი სწავლობს, რომელნიც შორის მანძილიდგან დაიარებიან.

და მერე ასვლა არ გინდათ ამ ყველასათვის ხელწამოსაკრავ „достопримѣчательность“-ზე?! 5—6 წლის წინად, განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოზს ერთად-ერთი პატივი სცეს „ქალაქის მამებმა“ და გააკეთეს რამდენიმე ათასის მანეთის დახარჯვით ამ გორაზედ ჯაჭვის ხიდიდგან მიმავალი მშვენიერი შარა, სატლე გზა. ის დღე იყო და მას აქეთ ეს გზაც ისევე უყურადღებოთაა მიტოვებული, როგორც სხვა მრავალი და მათ შორის ქალაქისათვის „гостинная“-დ წოდებული ტფილისის ქუჩა, რომელზედაც მტვრიან-ტალახიანობის დროს ერთხელ გზად გამვლელი სტუმარიც-კი თავბედს იწყევლის: ნეტა, რამ ჩამომიყვანა ამ უწმინდურების „კლოაკაშიო“.

პირველ ორ წელიწადს ეს ეპისკოპოზის პატივსაცემად გაკეთებული გზა მშვენიერი სასიარულო იყო, საქვეითოთაც და ეტლისათვისაც. შემდეგ, უყურადღებობის გამო, იგი ნიაღვარმა სრულიად გააფუჭა, დაალორთ-ხორლოვა. ამ ქუჩაზე ასვლა არა თუ ქუთათურ, ამ ხანად შვენიერად მირთულ-მოკაზმულ ეტლებს უჭირთ, ხარ-კამეჩის ურმებიც, 5—6 საჟენს გაივლიან თუ არა, ისვენებენ და ხუთის წუთის მაგიერ საათობით სცდებიან და თუ ამ გაჭირვებაში გაუტყდათ რამე, რაც არა იშვიათია თავდაღმართ-აღმართებში სიარულის დროს, ეს ხომ ზედმეტია! ეტლების და მათის პასაჟირების წვალებასაც აქ საზღვარი არ აქვს. მუდამ დღე თითოს მაინც დაინახავთ აქ პასაჟირს შუა გზაზე მიტოვებულს და გამობრუნებულ ეტლს, მათ ერთმანეთში ჩხუბსა და დავიდარაბას, დედ-მამის გინებას (როგორც რასაკვირველია, ბეჩავ პასაჟირს მოახლებენ), „ახლავ პოლიციაში წაგათრევ“-ის ძახილს, ფულის მიუცემლობას და სხ. მისთ. ამას გორელები და მათი დაპატიჟებულ-დაუპატიჟებელი სტუმრები ყველანი დაგიდასტურებენ. ამასთან გულდაწყვეტილნი ასე შემოგჩივლებენ: ნეტარხსენებულ გაბრიელს სცემდნენ პატივს და მაშინაც მისთვის გააკეთეს ეს გზა, თორემ დღეს უიმისოდ ჩვენ ვინ გვაგდებს რამეთ; დღეს შეკეთებას და რიგიანად ხრეშის მოყრას ვიღა აღირსებსო.

უყურადღებობა ამ ქუჩის შესახებ ის არის, რომ აქ ნარკლები თავ-თავის დროზე, წვიმიანობის წინ, არ იწმინდება; მოვარდნილი წყალი ზედ ულაზათოთ, აგერ-აგერ გროვა-გროვა დაყრილ ხრეშს და დიდრონ ქვებს

ფელეტონი

შინაურთა შორის

თავადი თეიმურაზი და ნათლიმამა არუთინა.—ნაქები ჰკუიანობა და ყბად-ასაღები სისულელე.—ახალი გამოგონება ქართველის კაცისა.—კ. ერთი ნატვრაცა და.

აგერ ერთი ჩემი ძველი მეგობართაგანი, თავდაღუნული დგას სასახლის წინ და, გართული მწარე ფიქრებში, ვერავისა ჰხედავს და ვერავისა სცნობს. ეგ გახლავთ ჩვენი ოდესღაც დარდიმანდი, ეხლაც მეტად სასიამოვნო, კარგად განვითარებული ქართველი თავადი თეიმურაზ ქაიხოსროს ძე ვალიანი. ნეტა ეხლა, ამ აფრიკის სიცხეში, აქ რას აკეთებს ეს ადამიანი და რატომ დაუნებებია თავი სოფლისათვის, სადაც ღმერთს უხვად დაუბერტყნია თავისი კალთა. ზაფხულში უმეტესი ნაწილი საქართველოს სოფლებისა უკეთესს არარას მოგანდომებენ, და ჩვენს თეიმურაზსკი ტფილისისთვის მოუტანებია. ყველა ნებიერნი სოფლისანნი გარბიან აქედგან სააგარაკოთ. ტფილისში რჩება მხოლოდ ის საცოდავი ორ-ფეხა, რომელსაც ყოველ სეზონში ერთი და იგივე ამოცანა უდგა თვალწინ და ვერას გზით ვერ მოუხერხებია მისი საბოლოვო გადაწყვეტა. „პური ჩვენი არსებისაო“-ო, იძახის ყოველ დღე ეს არსება, და პურიც, თანახმად ლოცვისა, ეძლევა მას მხოლოდ დღეისთვის, რომ ხვალ იგივე ამოცანა კვლავ გამოეჭიმოს მას თვალ-წინ, „ფენიქსებრ განახლებული“. სად ან როგორ გაეცვევა ასეთი ქმნილება ტფილისის სიცხეს თუ სიცივეს. სადა სცალიან, როდესაც საქირ-ბოროტო ამოცანა უეჭველად უნდა გადაწყვიტოს დღეისთვის მაინც.

თავად თეიმურაზს თავისის უშველებელ მამულ-დედულით ყველაზედ მომეტებული უფლება აქვს ირიცხებოდეს ნებიერთა შორის და ჰფუფუნებდეს სოფლის იალაღზედ. მაშ როგორ მოსტანებია ამ ჯოჯოხეთში, როდესაც აქ კაცს სული ვერ მოუთქვამს და აღარ იცის, სად შეაფაროს თავი.

თურმე ნუ იტყვით, თეიმურაზის გულში უფრო მომეტებული სიცხე და ბული ტრიალებს, ვიდრე ტფილისის მტვრიან ქუჩებზედ. აბა ყური ათხოვეთ:

— ჰხედავ, რა დღე დამაყენა ჩემმა ნათლიმამა არუთინამ. ამ ექვსის წლის წინათ შემომადგა—ერთი ოციოდე თუმანი მათხოვე და ამ თანხით კაცი გავხდებიო. აბა რა იყო ჩემთვის ოცი, ოცდათი თუმანი. ღვინოებიც გაყიდული მქონდა, პურის მუშტარი კარზედ მედგა. ავდექი და ორმოცი თუმანი გადავუგდე მოწყალებასავით. არც ბარათი ჩამომირთმევია, არც მოწმე დამისწერია. ვითომ ქაღალდში წავაგე ერთ ღამესა-მეთქი. გაიარა ორმა წელიწადმა, არუთინა არსად შემხვედრია. იგი ამ ოთხის წლის წინად პირველად ვნახე. მომძებნა სასტუმროში, დამითვალა ორმოცი თუმანი თავნი და ათსაც სარგებელში მაძლევდა. სარგებელს-კი რას ვიკადრებდი და თავნი სიხარულით გამოვართვი, რადგან მოვალეები ფეხ-და-ფეხ დამდევდნენ. არუთინამ შემატყო, რომ ძალიან უფულო სახე მქონდა, დიდი მონაწილეობა მიიღო ჩემს მდგომარეობაში და თავაზიანად შემომაძლია ორასი თუმანი,—შენის ფულითაა მოგებული და შენვე გაიმართე ხელიო. გავბრიყვდი და გამოვართვი. მცირე ვადიანი თამასუქი ძლივძლიობით მივაჩეჩე, თორემ სულაც არას მართმევდა. სწორედ ვადაზედ გამოცხადდა ჩემი არუთინა და მომთხოვა ვალი. სად მექნებოდა ზაფხულში ფული, ავდექი და თამასუქი გამოვუცვალე, ჩემის საკუთარის ნებით დიდი სარგებელიც ჩავუწერე მადლობის გამოსაცხადებლად. იარა იმ ორას თუმანმა, სარგებლის სარგებელმა და რაღაც მანქანებით ათას თუმნად-კი გადაიქცა, როგორც ვიანგარიშეთ შარშან ამ დროს. არუთინამ დაიგირავა ერთის წლის ვადით ჩემი დიდი ზვარი და ტყე, რომლებზედაც ბანკის ვალი მაქვს. ამ თიბათვეში, როგორც იყო, ბანკის შესატანი გადავიხადე, ოცი თუმანიც თითონ არუთინამ წამომაშველა—არამც არ გაგვეყიდოს მამულიო. მე არხეინად გავსწიე სოფელში. ვადა არუთინას ვალისა მოახლოვებული იყო, მაგრამ მე რისა მეშინოდა, როდესაც ასეთ მოკეთესთანა მქონდა საქმე. ავედი თუ არა სოფელში, დაიწყო ერთი გაუთავებელი ნადიმობა, სტუმრობა და ათასნაირი საზაფხულო დროს გატარება. ერთიც ვნახოთ, მომდის ნოტარიუსის ქაღალდი: თუ ამა და ამ დროს არ წარმოადგენ ათას თუმანს თავის სარგებლით, შენს მამულს „ტორგში“ ჩავაგდებო, მოკლეთა მწერდა ჩემი არუთინა. ის ურჯულო, თურმე იმიტომ დამეხმარა ბანკის ვალის შეტანაში, რომ მამული თავისთვისა სდომებოდა. ეხლა მუშტარს ხომ ვერ იშოვნი ჩვენებურებში და იმათებურნი ხომ არ შეეცილებიან—თავიანთი კაციაო“...

⁂

ასეთი სიცხე დასდგომია ჩვენს თეიმურაზს ამ უდიერ სიცხეებში. საქმის ბოლო აშკარაა: თეიმურაზს სირბილის მეტი არა შერჩება-რა, ყველანი უარს ეტყვიან ხელის გამართვაზე, გინდაც რომ ოქროს ზოდები ოხრად ეწყოთ ზანდუკებში, თხოვნა, მუდარა და თავის დამდაბლება კიდევ მეტი იქნება. მამა-პაპეულს მის ზვარსა და ტყეს გადაეფაფრება არუთინა და წარბსაც არ შეიხრის თეიმურაზის უბედურებაზედ. რა ჭკვიანი კაცი ყოფილა არუთინაო, იტყვიან არა მარტო გარეულები, შინაურებიც. სამადლოდ ორმოცი თუმანი მისცა თეიმურაზმა და ამ მცირე თანხით იმოდენა ფული ფულად შეიძინა და ათი-ათასის თუმნის სარჩოც თეიმურაზისა ჩაიგდო ხელიო. თეიმურაზი-კი სრულებით უჭკუო კაცის სახელს მოიპოვებს. მისი სისულელე სამაგალითო და ყბად-ასაღები შეიქმნება. რათა?—იმიტომ რომ ადამიანად ჩააგდო ისეთი ორ-ფეხა, რომელსაც ადამიანობისა მისხალიც არა აცხია-რა.

ასე და ამ პირობასა ზედა.

ამისთანა არუთინებს ჯერ კიდევ ხშირად შევხვდებით ჩვენის ცხოვრების გზაზედ, რომლისთვისაც ასე ცოტათა ვართ მომზადებულნი და სადაც ამდენი მახე დაუგამთ ჩვენთვის ჩვენს ნათლიმამებს. ჯერ კიდევ ბევრჯელ წავიბორძიკებთ და კიდევაც ჩავიკოჭლებთ, დავკრავთ მუხლის კვერებს გამხმარ მიწაზედ, ვიდრე ვისწავლით იმედიან სიარულს, მანამდეკი აუცილებლად საჭირო შეიქმნა მწარე გამოცდილება, რომელმაც უნდა გვაცნობოს, ვინ არის ჩვენი მოკეთე და ვინ მტერი. სრული უნუგეშობა მაშინ იქმნებოდა რომ აღარსაიდამა სჩანდეს იმედი შეგნებისა, რომ გამოცდილებაც უნაყოფოდ რჩებოდეს ჩვენთვის, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია. ქონება წარმავალია. იგი ფრინველივით, თუ დღეს გაუშვი ხელიდამ, გაგიფრინდება და ვისმე ბედნიერს დაურაკუნებს ფანჯარას, რომ ახლა კიდევ იქიდამ აფრინდეს და შენ დაგიკრას თავი. ბევრი არუთინები გვინახავს, რომ იმათაც გასტეხოდეთ კოკა წყალზედ და თავ-ბედს იწყევლიდნენ. ერთი დრო არავის შერჩენიაო, მეტადრე თუ ორმად არის მოპოვებული ეს დრო.

⁂

გაჭირვება მაჩვენე, მე გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია. ასეთი გაჭირვება დაადგათ ჩვენს ტყეების პატრონებს. ჩვენი ქვეყანა მთა-გორიანია, შემკული მშვენიერის და ძვირფასის ტყეებით, რომლებსაც დიდი ბაზარი გაუჩინა რკინის გზამ. მუშტარი ბევრი იყო და ჩვენც მივყევით ამ გზის ლიანდაგსა და მოვატიტვლეთ შექჩრილი მთები. როგორ გამოვიყენეთ ხე-ტყიდამ ამოღებული ფული, მაგას ნუ გამოვუდგებით. ჩვენ მხოლოდ ის გავიხსენოთ, რომ ტყიდამ ფული ზღვასავით შემოგვდიოდა, მანამ ლიანდაგს ახლო მოგვეპოვებოდა იგი. ეხლა ტყე დაშორდა ლიანდაგს და ფულიც შემოსწყრათ ტყის პატრონებს. უფულობა-კი ჩვენს დროში ყოვლად მოუხერხებელია. მაშასადამე, გაჭირვება აშკარაა. აბა, ვის შეგიძლიანთ გვაჩვენოთ გაქცევა.

ამის პასუხს გვაძლევს ზუგდიდის მაზრის სოფელ ხორგას აზნაური გიორგი საბას ძე გაბუნია, რომელიც აუწყებს ტყის პატრონთა და მწარმოებელთ, რომ მან გამოიგონა სა-

წამოჰლეჯს, მოაქუჩებს მოსახვევებში, რაც ბევრი აქვს ამ ქუჩას და ამ ნაირად ააზურგულებს გზას ზოგ ალაგას და სხვაგან-კი დააღრმავებს. ამგვარად ხდება იგი კისერსატეხ და ყველასათვის ძნელად სასიარულო ქუჩად. ცოტაოდენ გათავდარიგებულ მოვლა-პატრონობით-კი ეს ქუჩა ქუთაისში ივანოვის საუკეთესო ქუჩაზე არა ნაკლებ სასიამოვნო და გაუჭირვებლად სასიარულო იქნებოდა, რადგან მასაც თავდაღმართი აქვს და, მაშასადამე, მაზედ ივანოვის ქუჩასავით ტალახი არ დამაგრდება. ეს ქუჩა-კი ერთი უსაჭიროესთაგანია როგორც მცხოვრებლებისათვის, ისე ქუთაისის დასათვალიერებლად ახალ მოსულებისათვის. აქვე (გორაზე) არის საშუალო სასულიერო სასწავლებელი, სადაც 300—400-დე მოსწავლეები ქალაქის შორის კუთხეებიდგან დაიარებიან. ყოველივე ზემორე ჩამოთვლილ საჭიროებათ, დღეს ისიც ზედ ერთვის, რომ ინჟენერი მიხაილოვი მილის წყლისათვის ამ გორაზე უმთავრეს საწმენდ და წყლის დასაგროვებელ აუზებს აკეთებს და, მაშასადამე, აქ გაჩაღებული მიმოსვლა დაიწყება. ამგვარად, ყოველივე ამ მოსაზრებათა მიხედვით საჭიროა ქალაქის თვითმმართველობის მსახურთ აქედანვე მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ამ ქუჩის მოწესრიგებაში და შემდეგ თვალ-ყურის დევნებაში. საჭიროა აგრეთვე, თუ თავიანთ ხარჯით არა, მცხოვრებლებს შეაკეთებინონ ეპისკოპოზის კანცელარიიდგან ბაგრატის ტაძრისაკენ მიმავალი თავ-პირ სამტვრევი მოკლე გზაც, რომ ეტლით თუ არა, ქვეითად მაინც იაროს ზედ მგზავრმა.

მაგრამ ესეც არ იყოს, ჩვენ არც სხვა ქუჩების დღევანდელ თავგადასავლის შემნატრენი ვართ და საზოგადოდ მათ ბედ-იღბლისას მხოლოდ ერთს, უმთავრესს გავახსენებთ ქალაქის გამგეობას. ქუჩების **დავიწროების, „захватъ“-ების მაგალითები ქუთაისში ძალიან ბევრია.** აქ არავინ ისე სახლს არ აშენებს, ეზოს არ შემოზღუდავს, რომ თითო-ორ-ორი მტკაველი და ხშირად თითო ადლი მიწა ქუჩებს არ ჩამოაკლონ და ეს მარტო განაკიდეებში არ ხდება, სადაც თვალ-ყური იშვიათად თუ ვისმე უჭერია. მაგალითებისათვის ძველს დროს, როცა ამგვარი „захватъ“-ების საქმე ჩვეულებრივი რამ იყო და სრულიად გასაკიცხს მოვლენას არ შეადგენდა, აღარ მივმართავთ. საკმარისია გუშინდელი ამგვარი ნამოქმედარიც. აი, მაგ., ფერმის ქუჩაზედ ქუთაისში ცნობილი გიორგი ბერძენი (გვარად ხალაიწი) ორ სართულიან სახლებს აშენებს აჯიას ყოფილ აბანოების გვერდით, სადაც მან ქუჩა, არა თუ გოჯობით, მტკაველობით, არშინობითაც-კი შეავიწროვა და სრულიად დაასახიჩრა. ასე, რომ მისი სახლის კედლის გაყოლება ოდესმე ტროტუარი გაკეთდეს, ქუჩას სწორედ ერთი საჟენი-ღა დარჩება განი და ეს იმ ქუჩაზე, რომლის დასახლება ახლო მომავალშია მოსალოდნელი და, ვინ იცის, იქნებ ფერმისაკენ გასაკეთებელმა კონკამაც გამოიაროს აქ. იქვე მოიჯარადრე ჩილინგაროვსაც ხელი არ დაუკლია „захватъ“-ისათვის. შემდეგ ჯაჭვის ხიდის ყურში ამას წინად დამწვარ სახლების მაგიერ პატრონები ახლებს აშენებენ. აქაც ქუჩის თვით მოსახვევში ისეთი სივიწროვე აქვს, რომ ორი ეტლი ძლივს გაჭირვებით უქცევს ერთმანეთს გვერდს. აქ, სივიწროვის გამოვე, ეტლების დაჯახებაც ხშირია, რადგან მოსახვევში აქეთ-იქიდგან მიმავლები ერთმანეთს ვერა ჰხედავენ.

ამიტომ მიუცილებლად საჭირო იყო, რომ ამ ალაგას მაინც ახალი სახლები ძველ საფუძვლებზე არ აშენებულიყო; მარჯვნივაც და მარცხნივაც შეეწიათ, თუ მეტად არა, თითო არშინით მაინც, რომ ქუჩა ოდნავ მაინც გაგანიერებულიყო. ეს, რასაკვირველია, მესაკუთრეებთან, თუ ნება-ყოფლობით, უფასოთ არ მოხერხდება, ქალაქი ვალდებულია შეიყიდოს. მომავალში შესაძლებელია კიდევ ამგვარი, ანუ სხვა გვარი შემთხვევა მოხდეს, მეზობლებმაც ძველის ძველი სახლები გაარღვიონ ამ ქუჩაზე და იმათაც შეჰმატონ ქუჩას ამ ყელში, სადაც სივიწროვე მეტად და მეტად საგრძნობელია. ეს-კი მიუცილებლად საჭიროა, რადგან მოსალოდნელია კონკის ფერმის ქუჩაზე გაყვანა ამ ხიდით და უამისოთაც ეს ქუჩა მეტად გაცხოვლებული ქუჩაა, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ქალაქთან შემაერთებელი. დღეს კი ვინც აშენებს, ან ააშენა ამ ქუჩაზე სახლები, ყველა თავის მოვალეობად სთვლის ცოტაოდენი მიწა ჩამოაცალოს აქეთ-იქიდგან. სატროტუარე ადგილი, რაც ამ ქუჩისათვის ისევე საჭიროა, როგორც ბულვარის გარშემო, რადგან ერთად-ერთ შორს გასასეირნებელ ადგილად ფერმა, ჰომა და მისი მიდამოები ითვლება,—ამ ქუჩაზე აღარ რჩება და, რომ ვინიცობაა „ქალაქის მამებს“ ოდესმე მაინც გაახსენდეთ აქ ტროტუარების გაკეთება, მაშინ საეტლე გზის სივიწროვე მეტის მეტად საგრძნობელი შეიქნება.

ფერმის და მისდაგვარ მოშორებულ ქუჩების ბედ-იღბალს რომ თავი გავანებოთ, ამ მხრივ არც შუაგულ ქალაქის ქუჩები იზოგება მეპატრონეების მხრივ. აიღეთ, თუ გნებავთ, საურთიერთო ბანკის გვერდზედ თვალსაჩინო ნემცების ქუჩა, სადაც მეაფთიაქე ვიტუშინსკიმ ყველას თვალწინ დაიწყო ვეებერთელა ქვის სახლის შენობა და ქალაქის ქუჩას სატროტუარე ადგილი ერთი მტკაველი ჩამოაცალა, რათა თვისის შენობის ფასადი უფრო შნოიანი გამოსულიყო. ამასაც სწორედ გუშინდელ ამბავს მოგახსენებთ. ასევე იქცევიან ტფილისის ქუჩაზედაც და ქალაქის განაკიდე ქუჩებზე რაც ხდება, ყველა რომ ჩამოვთვალოთ, ვგონებთ, მთელი „ივერია“ მოგვინდებოდა მარტო მაგვარ ფაქტების აღსანუსხავად. ჩვენ მხოლოდ დღეს-დღეობით „захватъ“-ების ტენდენციაზედ გვსურდა მიგვეთითებინა, თუნდაც ახლად ჩამოსულ ქალაქის ინჟენერ-არქიტექტორ თ. დავით ჯორჯაძისათვის, რომლის მახლობელ მოვალეობად მიგვაჩნია ქალაქის საქმეებში ამგვარობის თვალ-ყურის დევნება და ქალაქის ინტერესების დაცვა..

ისო.

—

ოზურგეთი. აქ არსებობს თავისუფალ ეტლთა ამხანაგობა. ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც გამგეთ ირჩევენ ბ. რ. წუწუნავას. ეხლა მას საქმე მიემატა და მარტო ვერ უძლევა რთულს საქმეს და, ხშირად, მის მაგიერ კანტორაში რჩება ვიღაც ბავშვი...

დღე არ გადის, რომ კანტორაში გაჯავრებული კაცი არ შევარდეს და ყმაწვილ „გამგეს“ არ მიაძახოს: ბიჭო, ფაიტონის ფული რომ აიღე, თვით ფაიტონი რატომ არ გამოგზავნეო.

თუ ერთი კაცი არა კმარა საქმის გასაძღოლად, მეორე დავიქირაოთ, თორემ ეს რასა ჰგავს?!

ალ—ძე.

—

ქიზიყი. თუმცა წელს ჩვენსკენ პურისა და ქერის მოსავალი კარგი იყო, სამაგიეროდ ამ თვე-ნახევარში უდიერის სიცხე-უწვიმობისა გამო ფეტვი სრულებით მოიფშრუკა, თამბაქო დაიწვა, ვენახები ძრიელ შეწუხდა. ზოგიერთ სოფელში არის სარწყავი წყალი, მაგალითად, როგორც ტიბაანში ხირსის წყალი, რომლითაც ოთხი-ხუთი სოფლის ვენახები ირწყვება, მაგრამ ერთი პატარა საწისქვილე წყალი, რომელ ერთ ვენახს უნდა გასწვდეს. კიდევ კარგი, თუ ვენახებს არ გამოსწირავდნენ ხოლმე ამ პატარა წყალსაც. სოფლის ყლაპია წურბელანი წყლის შესახებ გამოცემულ წესდებას არ დაგიდევენ და თვალ და თვალ, დღისით-მზისით ჰყიდიან სხვა სოფლის მეთამბაქოებზე წყალს, დღე-ღამეში თუმნად, ხშირად მეტადაც. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, ვინაიდგან წესდებით წყალი დანიშნულია მეკომურთა ვენახების სარწყავად და არა გასასყიდად.

პურის მაზანდა ჯერ არ დადგენილა, ქერს-კი წვრილ-ფეხა ჩარჩობა ჩალის ფასად ინარჩუნებს გაჭირვებულ მცხოვრებთაგან. წელს ძრიელ მაძღარი სულადია.

13-ს ამ თვეს სოფელს ქვემო-მაჩხაანში ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენა იყო დანიშნული ქვემო-მაჩხაანისავე წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ქვემო-მაჩხაანის წიგნთ-საცავი ამ ბოლოს დროს, როგორც გაზეთებშიაც იყო მოხსენებული, ფრიად სამწუხარო მდგომარეობაშია. იმედია, ამ წარმოდგენიდგან შემოსულის ფულებით წიგნთ-საცავი სულს მოითქვამს, ძვალ-ტყავად ნაქცევი, ფენიქსებრ განახლდება, და მით ბნელით მოცულს ჩვენს სოფელს სწავლით გააცისკროვნებს. გარდა ამისა, ამ ჩვენს წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა კერძო პირებთან აქვს დაზოგვილი საკმაო ფული, რომელნიც მზად არიან გამოიღონ ეს ფული, თუ-კი ვინმე ითავებს წიგნთ-საცავის განახლებას. აი, ეს ფულები და წარმოდგენიდგან შემოსული სრულიად საკმარისია საქმის გასაჩარხავად.

დავიწყებული.

—

რაჭა. რაჭაში წელს შესამჩნევი გვალვა არის. ზამთარი და გაზაფხული მეტად წვიმიანი იყო. ზაფხულმა-კი იჩინა თავი უწვიმობით და მომეტებული სიცხით. ვენახს თუ აქვს კარგი მოსავლის პირი, თორემ სიმინდის და პურის მოსავალი ძლიერ ცოტა იქნება. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქუთაისიდან ოსეთში მიმავალს სამხედრო გზას არა ეშველა-რა, რის გამო სიმინდის ჩამოტანა თერგის ოლქიდან შეუძლებელია. ქუთაისიდგან მოტანილი სიმინდი-კი ძლიერ ძვირად ჯდება აქ. გვალვის დროს ერთი გასაკიცხავი ჩვეულება სცოდნიათ რაჭაში, რომელსაც „გონჯაობას“ ეძახიან. რაოდენიმე ყმაწვილი შეიკრიბება სოფელში ერთად. ერთი წელ ზევით სრულებით გატიტვლდება, პირის სახეს შეიმურავს და ამას ჰქვიან გონჯა. გონჯა ჯოხზე ჯდება, გარბის-გამორბის ეზოში, ვითომ ქათამს ეძებს დასაჭერად, სხვები-კი იმღერიან:

გონჯა მოადგა კარსაო,
საციქველი ამასაო.
ცხრილვასა და რილვასაო,
ღმერთი მოგცემს წვიმასო.
ტყიდგან მგელი გამოვარდა,
თხა შეგვიჭამა ნიშაო,
მასპინძელო, გაგვისტუმრე,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო!..

მასპინძელი აძლევს წიწილას, კვერცხს, ყველს, თან ღვინოსაც აწოდებს, რის გამო წვიმის გამომთხოვნელნი საღამომდის ისე შეზარხოშდებიან, რომ გონებას სრულებით კარგავენ და ხშირად საზიზღარ საქმესაც მოიქმედებენ ხოლმე. საზიზღარი შედეგი მოჰყვა 7 ამ თვეს მომხდარ გონჯაობასაც 5 შავრდომეთელმა კაცმა გამართა 7 ივლისს გონჯაობა. ჩამოიარეს სოფელი შავრდომეთი, მერმე ს. ბარს გაემგზავრნენ, შეკრიბეს ბევრი ყველი, წიწილები და კვერცხები. უზომოდ შეზარხოშდნენ და შინ დაბრუნებისას ნაშოვნის გაყოფას შეუდგნენ. გაყოფის დროს ჩხუბი მოუვიდათ ერთი წიწილის გამო და ისე საშინლად დასჭრეს ხანჯლით ერთი ამხანაგთაგანი, არსენ ოსიშვილი, რომ უკანასკნელს ერთი წუთიც არ უცოცხლია. მკვდარს 15-მდე ჭრილობა აღმოაჩნდა. ყველანი ნათესავები იყვნენ. სამწუხაროა, რომ ამ გვარი შემთხვევა აქ ხშირია და უეჭველად მთვრალობის დროს. აბა, რა სიკეთე იქნება, როდესაც 10—12 წლის ბავშვი დღეში 3—4 ბოთლზე მეტს დალევს. სკოლას ჯერ აქაურებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია და არც სახსენებელია ჩვენი სკოლები. განზრახვა არის ონში დაარსდეს საქალაქო სკოლა, მაგრამ სასურველია, რომ აქ სკოლა სხვა პირობებში იყვეს, რადგან ონში მხოლოდ მედუქნეებთან არის შესაძლო ბავშვების დაყენება და ეს გარემოება-კი ცუდს გავლენას იქონიებს, მეტადრე აქაურს ბავშვებზე. დიდად სასურველია აშენდეს ბავშვების მოსათავსებელი დიდი შენობა. ეს შესაძლოა, ოღონდ ამას მონდომება და კაცი უნდა.

ე. ვაშაკიძე.

—

თელავი. თელავის ბიბლიოთეკის საქმეების გარემოება უკვე მოხსენებული აქვთ „ივერიის“ მკითხველებს, თუ რა პირობებში იყო ჩავარდნილი ბიბლიოთეკის საქმის საწარმოებლად 7 მკათათვეს თელავის კლუბში ბიბლიოთეკის წევრებმა მოახდინეს საგანგებო კრება ახალის გამგეობის ამოსარჩევად. კრება შესდგა დილით, 12 საათზე და გასტანა 2½ საათამდის. კრებას დაესწრო 33 წევრი. ჯერ ვიდრე წევრები ახალ გამგეობის ამორჩევას შეუდგებოდნენ, ერთ-ხმივ კრების თავმჯდომარედ ამოირჩიეს ილია ზარაფიშვილი. გაიხსნა კრება თუ არა, ზარაფიშვილმა განაცხადა, ამ მეორედ დანიშნულ წევრთა კრებას. რომელზედაც ესწრება მესამედი ნაწილი ბიბლიოთეკის წევრებისა, კანონიერ კრებად სთვლით თუ არაო. დამსწრეთ თანხმობა გამოაცხადეს და თანაც დაუმატეს: „თუ ამ კრებაზე უეჭველად ახალი გამგეობა არ ამოვირჩიეთ, მაშინ რაც მეტი ხანი დარჩება ბიბლიოთეკა ძველის გამგეობის ხელში, უფრო ცუდს პირობებში ჩავარდება და ამისათვის სასურველია, დღესვე დაბოლოვდეს ბიბლიოთეკის ავი და კარგი და ახალი გამგეობის ამორჩევის საქმეო. კრებაზე, გარდა ახალ გამგეობის ამორჩევისა, უნდა განეხილათ კიდევ ძველის გამგეობის მიერ წარდგენილი ბიბლიოთეკის შესავალ-გასავლის ანგარიში. შემდეგ ამ ანგარიშის განხილვისა თავმჯდომარემ განაცხადა, რადგან მომეტებულს ნაწილს ბიბლიოთეკის წევრებისას გსურთ ძველი გამგეობის მაგივრად ამოირჩიოთ ახალი, ამისათვის დაასახელეთ, ვინ გსურთ ახალ წევრებათო. ვიდრე ამას დააბოლოვებდა ბატ. თავმჯდომარე, ბიბლიოთეკის გამგეობის ერთმა ძველ წევრთაგანმა (ლევ. ვახ—შვილმა) განაცხადა: „ეს რა ამბავია, რომ სულ ტყუილ-უბრალოდ, პირადად და სახალხოდ, გაზეთების საშუალებით, ცილს გვწამებთ, რომ, ვითომ ბიბლიოთეკას ყურადღებას არ ვაქცევდეთ, წიგნებს ვუკარგავდეთ. განა ისე უნაყოფო იყო ჩვენი შრომა, რომ წევრები გვემდურითო. მასთან ბ-მა ლევ. ვახ—შვილმა ისიც-კი განაცხადა, რომ ვიღაც სეხნიაშვილია, რა ნება აქვს, რომ „ივერიის“ ფურცლებზე სულ ტყუილ-უბრალოდ გვწამებს ცილსაო. ბ-მა ლ. ვახ—შვილმა თავის სიტყვა იმით დააბოლოვა, რომ გამგეობა თავის მოვალეობას პირნათლად და რიგიანად ასრულებდაო.

შემდეგ ამისა კრება შეუდგა ახალის გამგეობის წევრების ამორჩევას და კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ ვლ. ედილაშვილი და ივ. კაკაბაძე.

კოტე ალაზნისპირელი.

რუსეთი

— ნოვოჩერკასკში უდგამენ ძეგლს ციმბირის დამპყრობელს ერმაკს. ძეგლის აგება მიანდვეს აკადემიკოსს ბეკლემიშევს, რომელსაც გასამრჯელოდ 25,000 მანეთი ეძლევა. ძეგლის აგებას მოუნდება 75,000 მანეთზედ მეტი ხარჯი, ხოლო მოგროვებულია 103,000 მანეთამდე. ხარჯის დანარჩენის ფულით განზრახვა აქვთ დაარსონ ერმაკის სახელობაზედ სტიპენდია.

უცხოეთი

ციურიხი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ციურიხი ერთი საუკეთესო ქალაქთაგანია შვეიცარიაში. იგი სახელგანთქმულია არა თუ თავისი მეცნიერება-ხელოვნებით, არამედ უფრო მრეწველობით. აქ მზადდება სხვა-და-სხ. ლითონის საქონელი, ბამბეულობისა და, განსაკუთრებით, აბრეშუმის ქსოვილები. ამ უკანასკნელს საფრანგეთსაც უგზავნის ციურიხი (ამბობენ, საფრანგეთში მეტად წმინდა აბრეშუმის მატერიები მზადდებაო, ამიტომ ცოტა უფრო სქელ აბრეშუმის საქონელს ციურიხიდამ იბარებენო).

ციურიხის უმთავრესს ქუჩაზე თქვენ ხედავთ მანდილოსანს, რომელიც მაყურებელთა თვალწინ ქსოვს ძველებურად მშვენიერ აბრეშუმის ქსოვილს. გვერდით უწყვია მშვენიერი თავისი ნაქსოვები. საზოგადოდ, აქ, როგორც მგონია, ფაბრიკულ წარმოებასთან შინა-მრეწველობასაც არა სპობენ და დიდ დახმარებასაც უწევენ. ასე მიამბეს, ხშირად ფაბრიკანტები სოფლის დედაკაცებს ურიგებენ მატყლსა, ბამბასა და აბრეშუმს დასართავად და ასე სოფლის დედაკაცების მიერ დართულ ძაფებისაგან—ამზადებენ ფაბრიკებში საქონელსა. ქალები ხელ-საქმესა, წინდებისა და სხ. ქსოვას მეტად მისდევენ...

საყურადღებოა აქაური ბაღები. ესენი აქ ნამდვილ ბაღის დანიშნულებას ასრულებენ: აქ ადამიანი სტკბება წმინდა მარგებელი ჰაერით. ის აჩქარებული სიარული, რომლისაგან მტვრის კორიანტელია აყენებული ქუთაისის ბაღში ან „ბულვარში“, იქაური გაცხარებული ლაპარაკი ან უკეთ ქალების ჭორიკანაობა, აქაურ ბაღებში არავის არ მოეჩვენება. აქ დღის სინათლეზე ბაღში ქალს იშვიათად ნახავს კაცი უსაქმოდ: ზოგს მოუყვანია აკვნით ბავშვი და იმას უვლის, ზოგსაც ხელ-საქმე მოუტანია (ქუთაისის ბულვარი და ხელსაქმე?!). სხედან ქალები, საქმესაც აკეთებენ და დინჯათაც მასლაათობენ. მხოლოდ მთლად დაბინდებისას ქალები და კაცები ტბის პირად მდებარე ბაღებში დასეირნობენ და უფრო-კი სხედან და ისე გაჰყურებენ ტბასა და მასზე ნავებით მოსიარულეთ. წყალში ბანაობა და ცურვა გამხდარა აქ ორგანიულ მოთხოვნილებად როგორც კაცებისა, ისე არა ნაკლებ ქალებისათვისაც.

შედარებით რომ ვსთქვათ, აქ ძალიან წესიერ ცხოვრებას მისდევენ. დილით 7—8 საათზე ყავას (აქაურ ყავას, მოგეხსენებათ, ბევრი სატანი ახლავს თან) რომ მიირთმევენ, 12 საათზე სადილსა სჭამენ. ამ დროს აქ მაღაზიები იკეტება, ე. ი. კარები ჩაკეტილია მაღაზიებისა და შიგ არავინ არ სდგას. ნაშუადღევის 4 საათზე კიდევ ყავას—ან სხვა საჭმელს და 8 საათზე ვახშამსა.

დღის 12 საათზე ერთი ქუჩით მოვდიოდი. აუარებელი ხალხი, ქალი და კაცი, სულ ყველა ერთ მხრისკენ მიეჩქარებოდა. გამიკვირდა, თუ სად მიდიოდნენ. თურმე ესენი ფაბრიკებისა და სხვა დაწესებულების მუშები ყოფილიყვნენ და 12 საათზე პურის საჭმელად მიეშურებოდნენ. ჩვენში ბევრი ვერც-კი დაიჯერებდა, რომ ესენი მუშები არიანო. ჩვენებურ შუათანა (ქონებაზე მოგახსენებთ) ინტელიგენციაზე უკეთესობა ეტყობოდათ გარეგანის შეხედულობით: ჩაცმა-დახურვით, საათებით და სხ. საზრდოობის მხრივაც, დარწმუნებული ვარ, ეს მუშები ჩვენ ინტელიგენციაზე უკეთ იკვებებიან. ამას მათი გარეგნობა, ფერ-ხორციც ამტკიცებს. მეც მგონია ქალაქის მუშები უკეთ უნდა იყვნენ უზრუნველ-ყოფილნი **დროებითის ცხოვრებისათვის.** სოფლებში ბევრსა ჰნახავ შვეიცარიაში გლეხ-კაცსა, რომ სპეტაკად „გაკრახმალებულ“ პერანგით პურსა მკიდეს, ან სთიბავდეს, მაგრამ... ფეხშიშველა დედაკაცებიც ბევრი მუშაობს.

ციურიხის საუკეთესო, პირველს ქუჩაზე გამოველ დილის ცხრა საათზე. ქუჩის ორსავე მხარეს ჩაემწკრივებინათ სტოლები, ხელით მოტანილი პატარა ეტლები და გაეჩაღებინათ ვაჭრობა მწვანილეულობით, ხილით, ლობიოთი და სხ. და სხ. თითქმის მთელის ქუჩის სიგრძეზე გაჩაღებული იყო ასეთი ვაჭრობა, მაგრამ ისე წყნარად და დინჯად, რომ აქ არავითარი ყურთა-სმენის წამღები ხმაურობა და ყვირილი არ ისმოდა. ტფილისისა და ქუთაისის და აქაურ ბაზრობას შუა რა დიდი განსხვავებაა! გამოტანილი ხილეულობის მრავალ-ფეროვნებით ჩვენი ქვეყანა სჯობნის. გავიკვირვე, ისეთი ქუჩა, რომლის მარტო ელექტრონით განათება ერთ დაბას დაფასდება, ბაზრად რად გადააქციეს-მეთქი. მაგრამ ეს დროებით იყო. შესრულდა 11 საა.

შუალება, რომლის ძალითაც ადვილად შეიძლება ხე-ტყის ჩამოზიდვა მაღალ და მიუდგომელ მთებიდგან. წავიკითხე თუ არა ეს განცხადება, მაშინათვე შევუდექ ბ-ნ გაბუნიას ძებნას. ადვილად საპოვნელი აღმოჩნდა იგი. დარბაისელი ქართველი აზნაური, კარგი მოლაპარაკე, სასიამოვნო სახისპატრონი, მხნეობით სავსე. მისი ფხიზელი და ჭკვიანი გამომეტყველება უტანსაცმელოდაც გეუბნებათ, რომ იგი დასავლეთ საქართველოს შვილია. ხნით უნდა იყოს ორმოც-და-ათის წლისა, მაგრამ ქცევითა და მოქმედებით უნდა მიიჩნიოთ იგი სრულებით ახალგაზდა კაცად. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, ბ-ნმა გაბუნიამ თავისის გარეგნობით ერთიან მიმიზიდა.

შევატყობინე ნახვის მიზეზი. იმან თავაზიანად და დაწვრილებით ამიწერა თავისი მანქანა და მერე იგი თვით მოდელზედაც მაჩვენა. პირველად რომ გავიგე ამ მანქანის ამბავი, ტყუილი რეკლამა მეგონა. მოდელის გასინჯვამ-კი სრულებით სხვა მაფიქრებინა. იგი, როგორც ყოველი სხვა მნიშვნელობიანი გამოგონება, იმითია კარგი, რომ მეტად მარტივია: უბრალო ამართული ღარი, რომელზედაც მოსცურავს ტივის ხე. ეგ არის და ეგ. მაგრამ ამასთანავე იგი ისეა მოწყობილი, რომ აუცდენია თავიდამ ყოველივე ნაკლულევანება არსებულის ღარებისა. რადგან შეუძლებელი გახდა შორის მთიდამ ტივის ხის გამოზიდვა კამბეჩებით თუ ხარებით, ამიტომ ბევრგან გამართეს ღარები, რომლებითაც უშვებენ ხეს ვაკე ადგილებზედ და შემდეგ იქიდამ ეზიდებიან ხარ-კამბეჩით. მაგრამ ეს ღარები მეტად ძვირად უჯდებათ, რადგან სქელ ხისაგან უნდა გაკეთდეს და გამძლეობაც ნაკლები აქვს, დაცურებული ხე სწვავს ღარსა და აფუჭებს. თანაც თითქმის ერთი მესამედი ხეებისა ძირამდის ვერ ჩამოდის, ხტება ღარიდამ შუა-გზაშივე და ცვივა ღრე-კლდეში, სადაც სამუდამოდ იღუპება და ჰღუპავს იმოდენა შრომას, რომელიც მის მომზადებასა და მოტანას მოუნდა.

ყოველსავე ამ ნაკლს მოშორებულია ბ-ნ გაბუნიას მანქანა. ეს ღარი უნდა ერთხელ გაავსო ხეებით თავიდამ ბოლომდე, მერე როდესაც თავში ჩაუშვებ ერთს ტივის ხეს, მაშინ გაჰხსნი ღარს ბოლოში და იქიდამ ერთი ხე გამოცურდება გარედ ნელ-ნელა და წყნარად. არც-არა დაქანება, არც რახი-რუხი, არც კლდე-ღრეში გადაცვივნა, არც ხის გაფუჭება, არც შრომის წახდენა. თვით ღარიც ათჯერ ნაკლებ დაჯდება და გამძლეობაც დიდი ხნისა ექნება, რადგან ძალა ნაკლები ადგა დაცურების დროს. უეჭველია, ჩვენნი მემამულენი ხარბად წაატანენ ხელს ამ მანქანას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება აგრეთვე სახელმწიფო ტყეებისათვის. ვინატროთ მხოლოდ, რომ ჩვენი მებატონეები აღარ დაჰხმარებოდნენ არამიანცებისა და არუთინების ფულებს, არ მოიშორონ მამა-პაპეული სიმდიდრე ტყისა, თვითონ შეუდგნენ ამ ადვილ და იაფ მანქანის გამოყენებას და მის შემწეობით შეძენილი ფულიც უკეთესად გამოიყენონ, ვიდრე ის ფული, რომელიც აქამდის აიღეს ტყეებიდამ და რომლის კვალი ამოირეცხა მათის მეხსიერებიდამაც-კი და ჩვენს ცხოვრებას ხომ ვერავითარი ნიშანი ვერ დაატყო.

⁂

ერთი ნატვრაცა და გავათავოთ კიდეც დღევანდელი მუსაიფი. მარტო ტყის საქმე როდია დღეს ჩვენში გაჭირვებული. თითქმის ყოველი დარგი ჩვენის ალებ-მიცემობისა და წარმოებისა უკიდურეს გაჭირვებაშია და პატრონი-კი არსად გამოგვიჩნდა, რომ გაგვიადვილოს და შეგვაყვაროს საქმე, გვაჩვენოს გაქცევა. ვინატრი, რომ ყოველ ქართველ საქმეს გამოსჩენოდეს თავისი გაბუნია ან ელეფთერი, რომელსაც საგნად გარდაექმნეს ზრუნვა მასზედ, თუ რა ღონისძიებით შეიძლება თავის ხელობის წარმატება, გაადვილება, განმარტივება, თანაც განვითარება, ხელსაყრელობა და უმეტესი ნაყოფიერება. მერწმუნეთ, რომ როდესაც კაცი ფორმალურად არ ეწევა შრომის უღელს, არა კმაყოფილდება მამა-პაპურის იარაღით და ყოველ წუთს ჰფიქრობს ამ იარაღის გაუმჯობესებას. შეუძლებელია, რომ დღეს-ხვალეობით უკეთესს არას წააწყდეს, რაც გინდ ვიწრო ფარგალში იყოს მომწყვდეული ძლიერება მისის ჭკუისა, და თუ ეს ფარგალი ცოტათი მაინც ფართოა, მაშინ წარმატება აუცილებელია. ამაზედ გახლავთ დამყარებული პროგრესი მთელის კაცობრიობისა და, თუ ჩვენც ამ საგანს შევიქმნით საზრუნველად, არც ჩვენ ავცდებით პროგრესის გზას, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას კაცობრიობის წინსვლაში. თითო-ოროლა მაგალითი ჩვენის ჭკუის ნაღვაწისა ერთი-ორად მოგვიმატებს მხნეობასა და მეცადინეობას, შეგვასხამს ფრთასა და გაგვიფართოვებს თვალთა ხედვის ისარს.

ამიტომ არ შემიძლიან არ ვუსურვო ბ-ნს გაბუნიას სრული წარმატება თავისს საქმეში, რომლის დიდი ეკონომიური მერმისი მე მრწამს სავსებით.

სანო.

თოკ და ყველანი თავისი საქონლით აიყარნენ აქედამ (ხარებით და ცხენებით-კი არ ჩამოაქვთ აქ). ერთმა შვეიცარელმა თავის პატარა ოთხ-თვლიან ურემში ერთ მხარეზე ძაღლი შეაბა, ხოლო მეორე მხარეს თვითონ დაიკავა და გაუყიდავი საქონლით გასწია შინისკენ. მხოლოდ კვირაში ორ დღეს იძლევიან ამ ქუჩაზედ ასე ვაჭრობის ნებას.

ეს ივლისის თვე ციურიხში მოსწავლეთა სადღესასწაულო თვედ ჩაითვლება: სხვა-და-სხვა ექსკურსიები, ფეხით მოგზაურობა, რკინის გზით მოგზაურობა, ნავებით მოგზაურობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა,—აი, რას შეხვდებით აქ ახლა დღე-ყოველ. მშვენიერი სანახაობაა, როცა მასწავლებელნი და მოსწავლენი ორივე სქესისა, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, ერთის ჟივილ-ხივილით მიემგზავრებიან სადმე. ყველა მათ გზას უთმობს. საღამოზე, რკინის გზით წასულნი, გემით ბრუნდებიან ყვავილებით ხელში. მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის აქ ამხანაგური, და-ძმური მამა-შვილური დამოკიდებულებაა. ახლავე სჩანს, რომ ამ მოზარდს ბავშებისაგან თავისუფლების მოყვარე ხალხი დადგება.

დროებით ციურიხში მყოფი.

ინგლისი. ინგლისურ ჟურნალს „Spectator“-ში დაბეჭდილია წერილი „ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოვება“. საფრანგეთიო, ამბობს გაზეთი, ჩვენი უმახლობელესი მეზობელია. ამ სახელმწიფოს ჰყავს ძლიერი მხედრობა და შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის მსოფლიო მფლობელობის სურვილს. საფრანგეთის დაახლოვება ერთად-ერთი ღონეა, რომელსაც შეუძლიან გააბათილოს გერმანიის პოლიტიკა რუსეთისა და ინგლისის შუა უსიამოვნების დასათესად, რომ ამით ააცდინოს რუსეთი დასავლეთ საზღვარს და შეასუსტოს მისი გავლენა ევროპაში. არაფერი არ დააბრკოლებს ჩვენსა და საფრანგეთის დაახლოვებასაო: ჩვენი ინტერესები ერთმანერთს არსად არ ეწინააღმდეგებიანო.

— დეპეშები იუწყებიან, რომ ბალფურს პარლამენტში სიტყვა წარმოუთქვამს და დიდად შეუქია ჩემბერლენი. ეს სიტყვა მით უფრო საყურადღებოა, რომ ხმა იყო გავრცელებული, ვითომც ჩემბერლენი და ბალფური ერთმანერთს ექიშპებიანო. ახალმა პრემიერმა სთქვა, რომ ისეთი კეთილ-განწყობილება არაოდეს არ ყოფილა ინგლისსა და მის ახალშენთა შორის, როგორც ამ ჟამადაო. ეს, რასაკვირველია, მრავალ სხვა-და-სხვა მიზეზთა ბრალობა იყო, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა—თვით ახალშენთა მინისტრის პოლიტიკისა და პირადობისაო (ტაშის ცემა). მან ჩაჰბერა ძლიერი სული ამ სამინისტროს, გამოაცოცხლა იგი, და დღეს სულ სხვა თვალით შეჰყურებს მას (სამინისტროს) არამც თუ მარტო ინგლისი, თვით ჩვენი უუვრცელესი ახალშენებიც-კიო. ასე რომ დღეს სულ სხვასა ვხედავ, ვიდრე მაშინ, როცა მე პირველად გამოველ საპოლიტიკო ასპარეზზედაო. (ტაშის ცემა). ეს უდიადესი ცვლილება იმ მაღალნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ მოახდინა, რომელიც დღესაც სათავეში უდგია ახალშენთა სამინისტროსა“-ო.

— 8 ივლისს პალატაში ლაბუშერი შეეკითხა ბალფურს, შეიცვლება თუ არა მთავრობის საფინანსო პოლიტიკა ახალშენთა შესახებ, რომ სახაზინო კანცლერმა ჰიქს ბიჩმა სამსახურს თავი გაანებოსო? ბალფურმა უპასუხა, რამდენადაც ვიცი, არავითარი ცვლილება არ მოხდებაო.

საფრანგეთი. საკონგრეგაციო სკოლების დახურვის გამო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები თანდათან მატულობს.

პლოერმელში 600 კაცს საკონგრეგაციო სკოლაში კარი ჩაუკეტნიათ და საღამოს 9 საათამდე შიგ ყოფილან. შემდეგ გამოსულან და სუბ-პრეფექტურის შენობის წინ დიდი მანიფესტაცია მოუხდენიათ. რენნში მომხდარა კომბის ცირკულიარის საწინააღმდეგო მიტინგი და ასეთი რეზოლიუცია გადაუციათ პრეფექტისათვის, მთავრობის მოსახსენებლად: „რესპუბლიკის პრინციპების სასახელოდ უარ-ჰყავით თავისუფალ სკოლების დევნაო“. ზოგიერთ ადგილებიდგან დიდ-ძალი ხალხი აცილებდა სადგურამდე დახურულ სკოლებში მასწავლებლად ყოფილს მონოზნებს. ლიონში მონოზნებს განუცხადებიათ, ჩვენ სკოლას ჩვენ არ გავანებებთ, ვინაიდგან მათი დახურვა უბრალო ცირკულიარის ძალით შეუძლებელიაო. ჩვენ ველით შესაფერს დეკრეტსაო.

გაზეთი „Matin“-ი უარ-ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც მთავრობას კონგრეგაციათა საავადმყოფოებისა, საუძლუროებისა და სხვა ამ ნაირ საქველ-მოქმედო დაწესებულებათა დახურვის განკარგულებაც მოეხდინოს.

პირ-იქითაო—სწერს გაზეთი—მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რათა ადმინისტრაცია არ შეეხოს იმ დაწესებულებათა, რომელთაც ორგვარი დანიშნულება აქვს—სკოლისა და თავშესაფარისაო.

— 7 ივლისს პონსში მეურნეთა კრებაზედ მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის კონგრეგაციებსაც შეეხო.

მეო,—სთქვა კომბმა—მხოლოდ იმიტომ ვიკისრე მინისტრ-პრეზიდენტობა, რომ ასოციაციათა შესახებ კანონის განხორციელება უზრუნველ მეყოო. თუ ჩემმა პოლიტიკურმა მეგობრებმა ჩემზედ მიუთითეს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეს იმიტომ მოხდა, რომ მათის აზრით, ყველაზედ უკეთ მე შემეძლო ვალდეკ-რუსსოს მიერ დაწყებულ საქმეების გაძღოლაო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი პირველი ნაბიჯი; ეხლა სცდილობენ ჩირქი მოსცხონ, ძალმომრეობა და შეუბრალებლობა დასწამონ ჩემს მოქმედებასაო. მაგრამ საზოგადო აზრი ჩვენს მხარეს იყო: მაშ რატომ ერთი საფუძვლიანი შენიშვნაც არავის მოუცია, როდესაც ნება-დაურთველ საკონგრეგაციო სკოლების დახურვა გამოცხადდა, თუმცა კონგრეგაციის წევრებიც დაესწრნენ კრებასაო? ჩვენ ვიანგარიშებთ და რამდენისამე დღის შემდეგ მოგახსენებთ, რამდენი საკონგრეგაციო დაწესებულება დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას და რამდენმა გაუწია წინააღმდეგობაო; მაშინ თქვენ დარწმუნდებით, რომ უკანასკნელთა რიცხვი მეტად მცირეა. კანონი ასოციაციათა შესახებ აუცილებლად საჭირო იყო, რადგან კონგრეგაციები მეტად გამრავლდა და სახელმწიფოს პოლიტიკურს ცხოვრებაშიც-კი ჩაერიაო. რომ ეს კანონი არ მოგვეშველებოდა, რესპუბლიკის მაგივრად აღორძინდებოდა ან მონარქია და ან თეოკრატიაო“.

გერმანია. გერმანელთა წინააღმდეგის პრუსიის პოლიტიკით გულნატკენმა პოლონელმა არისტოკრატიამ (ბერლინში მცხოვრებმა) გადასწყვიტა ამიერიდგან არავითარი მონაწილეობა აღარ მიიღოს სამეფო კარის ცხოვრებაში და საზამთროდ პოზნანში გადასახლდეს.

— როგორც ვუწყით, პოლონელთა ადგილებში გერმანელ ახალშენთა დამსახლებელ კომისიის თავმჯდომარე, ვიტენბერგი, სამსახურიდგან გავიდა, რაიცა იმას მოასწავებს, რომ გერმანიის განაპირა ადგილების გაგერმანელების საქმე სრულებით უნაყოფოდ მიდის. ვიტენბერგმა რამდენიმე მილიონი ჩაჰყარა ამ საქმეში, მაგრამ არა გამოუვიდა-რა. გამოანგარიშებულია, რომ თითო გერმანელ ოჯახის გადასახლება პოლონელთა პროვინციებში მთავრობას 10,000 მარკა დაუჯდა. პირიქით, პოლონელთა გადასახლებაში პოლონელ კომიტეტს თითქმის არა დაჰხარჯვია-რა.

პოლონელთა ბანკები გულ-უხვად ეხმარებიან პოლონურ მამულების გამოსყიდვას. ყველგან თვალსაჩინოდ შემცირდა გერმანელთა მოსახლეობა და სამაგიეროდ იმატა პოლონურმა.

1900 წელს გერმანელთა კამისიამ ერთი მამული შეიძინა 1,000,000 მარკად. ამ ჟამად კამისია იძულებული გამხდარა ეს ადგილი პოლონელებისათვის მიეყიდნა მეოთხედ ფასად—250,000 მარკად.

ბელგია. სომხის მოყვარეთა კონგრესს, რომელიც გასულ კვირაში ბრიუსელში მოხდა, უკვე დაუმთავრებია თავისი სხდომები. კონგრესს დაუდგენია, დააწესოს მუდმივი საერთაშორისო კამიტეტი და მიანდოს სომეხთა ინტერესების დაცვა. შემდეგ ამისა კონგრესს იმედი გამოუთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფონი პორტას მოაგონებენ ბერლინის ტრაქტატის 61-ს მუხლს და მოახდენიებენ სომხეთში ცვლილებათა, რომელთაც 1895 წლის დადგენილებანი უნდა დაედვას საფუძვლადაო. კონგრესი დიდი მოიმედეა ევროპის ჟურნალ-გაზეთობისა და სთხოვს მათ, აცნობოს ხოლმე მთელს განათლებულს ქვეყნიერობას ის დევნა-წვალება, რომელსაც სომხები ითმენენო. ასეთ სათნო თხოვნა-ვედრების შემდეგ კონგრესი პირდაპირ მუქარაზედ გადადის: ჩვენ აღვნიშნავთ ყველა იმ ორგანოებს, რომელნიც არ ინებებენ და ახლად შემდგარ მუდმივ კომიტეტის მიერ მიწოდებულს ცნობებს არ დასტამბავენო. კომიტეტს, ალბად, მრავალი გაზეთის აღნიშვნა დასჭირდება, რადგან არც ერთი დარბაისელი გაზეთი არ მისცემს ადგილს მათს ცნობებს, თუ თავად არ დარწმუნდა მათს სიმართლესა და საფუძვლიანობაში. მაგრამ, რადგან კომიტეტი მხოლოდ საპოლიტიკო აზრითაა დაარსებული, მოსალოდნელია, რომ მან მიჰკერძოს სომხებს და სინამდვილე, ნებით თუ უნებლიედ, გვერდზედ მოიგდოს.

ბიბლიოგრაფია

Гр. Джаншіевъ. „Перлъ Кавказа“. Изд. 4-ое.

ხელში გვაქვს მეოთხე გამოცემა «კავკასიის მარგალიტისა». ესრეთი სახელი ბორჯომს დაარქვა თამარ მეფემაო. ავტორი წარმოგვიდგენს ბორჯომისა და აბასთუმნისა და მათ გარემოთა აღწერას, გაგვცნობს მკითხველებს აქაურ წყლებს, სასახლეებს ტყეს, ველს, ჩანჩქერებს, მთებს და სხვ. ნაწერს ავტორი ასურათებს მრავალგვარ სახეებით და სახილველებით, თავის მოთხრობას ურთავს სხვა-და-სხვა პოეტების ნაწერებიდამ ამოკრეფილ ნაწყვეტებს, რომელნიც, ხშირად, იმდენად არას ჰმატებენ წიგნის ღირსებას, რამდენადაც მისს ტანს ადიდებენ.

დიდ ნაკლად ამ ძვირფას გამოცემისა უნდა ჩაითვალოს არევ-დარევა ისტორიულ ჭეშმარიტებისა. სახელდობრ მწერალს ვერ აუცილებია თავიდგან სუსტი მხარე სომხის ცრუ-მწერლებისა, რომელნიც, როდესაც დაჰპარავენ სომხეთსა და საქართველოზედ, სწერავენ დიდს «არმენიას» იქ, სადაც მას ადგილი არა ჰქონია.

„ბორჯომის შესახებ, პირველად სომხის ისტორიკოსები გადმოგვცემენ ცნობებს. ეს ხეობა დიდი არმენიის ნაწილს შეადგენდა და იწოდებოდა ტაოკად ანუ ტაისტანად. სომხების მემკვიდრედ გამოჩნდნენ ბერძნები, რომელთა მოადგილედ მე-XIII საუკუნეში გამოჩნდა თამარ მეფე“ (გვ. 19).

ბევრი არა გვწამს-რა იმისთანა მწერლისა, რომელიც, ვითომ-და თავის ერის გასადიდებლად, ამისთანა ცხადს სიცრუეს თავის წიგნში უთმობს ადგილს.

ქართულ წყაროებსაც რომ თავი დავანებოთ, მაინც ვიცით, რომ ჯერ სტრაბონის დროსვე საქართველოს დასავლეთ საზღვრებს შეადგენდა არეზი (არაქსი), არსენი (არზერუმი) და მდ. დალისი; იგივე მიჯნა არ იყო შეცვლილი მეათე საუკუნეშიაც, როგორც მოწმობს იმპერატორი კონსტანტინე ძოწითმშობილი 954 წელს. იმის შემდეგ ხომ ყველამ, გარდა სომეხთა ცრუ-მწერლებისა, იცის, რომ მე-XI და მე-XII საუკუნოებში თვით არმენიას ჰფლობდნენ ქართველი მეფეები.

მაშ როდის-და იქნებოდა ბორჯომის ხეობა დიდ-არმენიის ნაწილად.

არას დროს.

პირველს საუკუნეში, როგორც გადმოგვცემენ ბერძენ-რომაელთა მწერალნი, არმენიას ჰფლობდნენ ქართველთ მეფეები (მირდატი, ძმა ფარსმან მცხეთელისა, რადამისტრი, ძე იმავე ფარსმანისა), მეოთხე საუკუნეში არმენია გაიყვეს სპარს-ბერძნებმა, მეშვიდეში დაიპყრეს არაბებმა, მეთერთმეტეში დავით აღმაშენებელმა შემოიერთა და მას აქეთ იგი შეადგენდა (იხ. ბროსსე — „Взглядъ на исторію и литературу Грузіи“) საქართველოს ნაწილს.

ვიმეორებთ, როდის-და იქმნებოდა ბორჯომი, ეს შუაგული საქართველოსი, სომხეთის ნაწილადა, რომელიც, ვითომ მემკვიდრეობით გადასცემოდეს სომხებისაგან საბერძნეთს და საბერძნეთისაგან ქართველებს, ისიც მე-XIII საუკუნეში?!

მაგრამ რას გკითხულობთ ამას, როდესაც ცრუპენტელა კაცების რუკები არა თუ ბორჯომს, მთელს საქართველოსაც ჩრდილო კავკასიის დიდ არმენიას აკუთვნებენ! გვიკვირს, ამისთანა მერუკეებსა და ისტორიკოსებს როგორ გამორჩათ თვით კონსტანტინეპოლი, სპარსეთი და ინდოეთი, რომ ეს ქვეყნები არ მოაქციეს დიდ-არმენიის რუკაში! იმ ქვეყნებშიაც ხომ ცხოვრობენ გადახვეწილი სომხები!

მე რომ სომხის ცრუ-მწერალთა*) დასს ვეკუთვნოდე, ხუთსავე ხმელეთს დიდ-არმენიას მოვუხაზავდი, რადგან არ არის არც ერთი კუთხე, სადაც მრავალ-წამებულის სომხის ფრიად ნიჭიერის და სიცოცხლით აღსავსე ერის ნატამალი არ ცხოვრობდეს.

---

*) „ცრუ-მწერალთ“ ჩვენ ვარჩევთ სომხის დანაშთენ მწერლებისაგან, რომელნიც ემსახურებიან მხოლოდ ჭეშმარიტებას და მართლ-მოყვარე მეცნიერებას. დროა, სომხეთისავე სასიკეთოდ, ამ გაგებულ მეცნიერებმა ამხილონ თვისნი ცრუ-პენტელა მოძმენი, რომელნიც თავიანთ შეუსაბამ ქცევით უფრო ჰვნებენ სომხეთს, ვიდრე რასმე სახეიროს ჰმატებენ.

„ივერიის“ ფოსტა:

რგანი. მ. დ—ს. თქვენი „მგზავრები“ არ დაიბეჭდება.

კაკავაი. ვ. ლ—ს.—თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ე. მ—ხას. თქვენი ლექსი „დასჯილის წერილი“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 ივლისს.

პეტერბურგი. დღეს კრასნოე-სელოს იყო სახელწოდების დღესასწაული დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრის ძისა. ზეიმს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დედოფალი ელლინთა, ბერძენთა მეფის ძე ნიკოლოოზი და საიმპერატორო გვარეულობის გვამნი. თერთმეტს საათზე უავგუსტოესი მედღესასწაულე მილოცვას იღებდა, და შემდეგ კრასნოე-სელოს ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა. შემდეგ სასახლის პალატაში გაიმართა საუზმე მათ უდიდებულესობათა დასწრებით. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა პეტერგოფს რკინის გზით, რამოდენიმე ხნის შემდეგ წაბრძანდა ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული.

15 ივლისს მის საკუთრივ უმაღლესობას ბერძენთ მეფის ძეს ნიკოლოოზ გიორგის ძეს წარუდგა დეპუტაცია კრასნოე-სელოს თემის გლეხებისა და მიართვა პურ-მარილი. თემის მამასახლისი ანინინი მიესალმა მეფის ძეს რუსეთში მშვიდობით ჩამობრძანებისთვის და მიულოცა დიდის ბატონიშვილის ელენე ვლადიმირის ასულის დაწინდვა. მეფის ძემ მადლობა გადაუხადა დეპუტაციას.

პარიჟი. მთელს გუშინდელს საღამოს ძლიერი მოძრაობა იყო. თანხმობისა და რთაილის მოედნებსა და მადლენის ბულვარზე მრავალჯერ განფანტა პოლიციამ ბრბონი. შუაღამისას წესიერება აღდგენილ იქმნა. დაჭერილ იქმნა ას კაცამდე, რომელთაგან ოთხი გამოშვებულ იქმნა. მძიმედ დაჭრილია თორმეტი კაცი.

კრონშტადტი. დღეს უმთავრეს კამანდირ ვიცე-ადმირალ მაკაროვისას გაიმართა სადილი პატივსაცემად ზღვათასნოს ავსტრიისა, ბერძენთა და არგენტინის სამხედრო გემებისა, მდგომარეთა ნავთსადგურის ბაქანზედ.

16 ივლისს

პეტერბურგი. „Павит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომელიც შეეხება კანონების შეცვლას სახაზინო გადასახადის გაწერაზე უძრავ ქონებათა ვისლის მხარის ქალაქებში.—ახალ ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი ბელიაევი გამწესდა კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დაიწყო ნიჟეგოროდის იარმუკა. დიდძალი ვაჭარი მოვიდა.

კურსკი. მოხდა პირველი კრება სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა. შეიმუშავეს მეცადინეობის პროგრამა და სახელმძღვანელო სამაზრო კომიტეტებისათვის.

ასტრახანი. დღეს რუსეთის მონათვლის 900 წლის შესრულების აღსანიშნავად ეპისკოპოსმა გიორგიმ იოანნე კრონშტადტელის თანამსახურებით აკურთხა წმ. ვლადიმერის ტაძარი.

ბელგრადი. სტანოევიჩმა რადიკალთა კრებაზედ განაცხადა, პრეზიდენტის თანამდებობას თავს დავანებებო; ეს განცხადება კრებამ მხედველობაში მიიღო.

ლონდონი. ბიულეტენი. მეფის მდგომარეობა კვლავ მშვენიერია. იგი საწოლიდგან მოძრავ სავარძელზე გადაიტანეს.

ბელგრადი. სკუპშჩინის პრეზიდენტმა სტანოევიჩმა მეფის ნახვის დროს განაცხადა, მზადა ვარ თანამდებობას თავი დავანებოო; ისიც დასძინა, რომ საჭიროა ეს განზრახვა ჯერ რადიკალ დეპუტატთა კრებას განუმარტოვო.

პარიჟი. შინაგან საქმეთა სამინისტროში ცნობა მიიღეს, ყველა საკონგრეგაციო დაწესებულებანი თავის თავად დაიხურა 50-ზედ მეტ დეპარტამენტში. მიხელეთ ძალდატანება არ დასჭირებიათო.

ბერლინი. იაპონიის ,რინცი კომაცუ პეტერბურგს გაემგზავრა.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	46,07½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89½ მყიდ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	419 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 23 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა.

1. დათა, სანო, ალექსი და ნიკო კოშაძეთა და თ. ნოშან ჯავახოვის დავა 870 მანეთზე.
2. თევდორე კუსაკინისა და არჯევან მოროხაიშვილის საქმე 100 მანეთზედ.
3. ზაქარია და სხვ. მღებრიშვილებისა და თ. ივ. ერისთავის საქმე მამულის მფლობელობის აღსადგენად.
4. სიმონ ჯავახოვისა და დავით ვარსიმოვის საქმე —29 მანეთისა.
5. ანტონ ახაბაძისა და ანტონ იაშვილის დავა 40 მანეთზედ.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესანახ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1068 მანეთზედ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37,50 ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible]ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (6.—წლ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლ დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსსე I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.